

# როცა საკითხი „სავსაბით ნათელია“

— ჩემს მაგალითზედაც შეგიძლიათ და-  
ასკვნათ, ამხანაგებო, თუ როგორ ახშობდა  
ჩვენი დირექტორი კრიტიკას და თვითკრი-  
ტიკას. ვიდრე არ მოხსნეს, გეფიცებით, ხმა  
ვერ ამოვიღე!.. ახლა კი ყველაფერი სავსე-  
ბით ნათელია!



ბიბლიოთეკის მფლობელი

# ნ ი ა ნ ბ ი

ვის არ უყვარს რუსთაველის პროსპექტი!..

რა სჯობია მის ფართო ფილაქნებს, მარად სიმწვანეში რომ არის ჩაფლული; მის შენობებს, ერთმანეთს რომ სილამაზეში ეჯიბრებიან; მის შესანიშნავ არქიტექტურულ შესახედაობას?

სიყვარულზე კეთილშობილური გრძობა რა უნდა იყოს, მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც!.. გადამეტებული სიყვარული მოსაბეზრებელი ზდება, მოსაბეზრებელი იქით იყოს, ასეთი სიყვარული ზოგჯერ დანაშაულამდე მიიყვანს ადამიანს.

თბილისში არის ერთი წყება ახალგაზრდებისა, რომლებსაც ამქვეყნად მხოლოდ რუსთაველის პროსპექტისადმი სიყვარული ასულდგმულებთ.

ზამთარია თუ ზაფხული, შემოდგომა თუ გაზაფხული, დილაა თუ საღამო, ამ სიყვარულის გამო ისინი ფეხმოუცვლელად რუსთაველის პროსპექტზე, ქადრების ხის ქვეშ დგანან. პროსპექტს იქით მათთვის არც მზე ანათებს, არც მთვარე და არც ვარსკვლავები.

მათი თავშესაყრელი ადგილი რუსთაველის მოედანია, ან ქავჭავაძისა და წულუკიძის ქუჩების კუთხეებია.

პროსპექტისადმი სიყვარულს ისე გაუტაცნია ახალგაზრდა რაინდები, რომ პროსპექტზე გამვლელი ყველა ქალიშვილი თავიანთი საკუთრება ჰგონიან, პროსპექტზე მოსიარულე „უცხო“ ვაჟებს პირად მტრებად სახავენ, სულ მცირე მიზეზის გამო ჩხუბსა და აყალმაყალს უწყობენ, ხოლო თუ თავში ბახუსი შეუძვრათ, მორჩა... იმ დღეს პროსპექტი ერთიანად აღებული და აკლებული აქვთ.

ვის არ შეხვდებით რუსთაველის პროსპექტზე უსაქმურად მდგარს. სამწუხაროდ, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიც არიან. პროსპექტზე უსაქმურად დგომით კი რა მეცნიერებასაც სწავლობენ, ეს ინსტიტუტის იმ დირექციებსა ვკითხოთ, რომელთა ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ მოწმობებს ისინი გულის ჯიბით ატარებენ.

აბა, დავაცქერდეთ რუსთაველის პროსპექტზე ბინადართ.

აგერ, რუსთაველის პროსპექტისადმი სიყვარულს უნივერსიტეტიდან წულუკიძის ქუჩამდე წამოუყვანია უნივერსიტეტის სტუდენტები ვ. ფ-ძე და ნ. დ-ძე. ისინი პროსპექტზე მტკიცედ დგანან, გამვლელ-გამომვლელებს მუშტებით ეღავეებიან—ამ ჩვენს პროსპექტზე რა უფლებების ძალით დადიხართო...

ვინ არ იცნობს რუსთაველის პროსპექტზე თ. ლ-ძეს, რომელიც აგერ მეხუთე წელია თბილისის რომელიღაც ინსტიტუტის მეხუთე კურსს ამთავრებს



გაიზარდა ჩვენი პირმშო, ბახაღაა, რა ბახაღა! მშობლიური სიყვარულით გაიზარდა, — გაგვახარა...

სადური მშობელი ხარ, ზრუნვით თუ არ გაირჩები?! თბილ ბუმბულში ჩავანვინეთ, ჩაუფინეთ ხადიჩები.

ტკბილ ძუძუზე უფრო ტკბილად ეწაფება იგი ღვინოს, — საამური ცხოვრებაა, იღვინოს და იღიღინოს!

ავტო მზად თუ ეგუდება, ფულიც მზად თუ დაინახა, რა შვილია, უდარდელად არ დაალოს ფართოდ ხახა!

დელი-ოდილაგაქი

### პროსპექტზე

და ჯერაც ვერ დაუმთავრებია. სამაგიეროდ იგი პროსპექტზე დგომის რეკორდს ამყარებს.

მაგრამ პროსპექტს ყველაზე მეტად პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ეტრფიან.

თ. კ-ძე ისე ეტრფის რუსთაველის პროსპექტზე მიმავალ ქალიშვილებს, რომ ამის გამო არცთუ დიდი ხნის წინათ პასუხისგებაშიც კი მისცეს.

რ. დ-შვილი საოცარი ყმაწვილია. შულამის შემდეგ იგი პროსპექტზე ვერავის იტანს. წარმოიდგინეთ, ერთხელ დამის 2 ს. და 30 წ. პაპიროსის გამოყიდველსაც კი სცემა, ასე გვიან აქ რა უფლების ძალითა ხარო.

პროსპექტის მუდმივ ბინადართა შორის არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ექვსი ყარიბი ჭაბუკი: თ. კ-ძე, ჯ. ა-ძე, ნ. კ-შვილი, ზ. გ-ანი, ა. ჩ-ძე, შ. მ-ძე...

„მაგრამ ეს რა ინიციალებია?!“ გაკვირვებული იკითხავს, ალბათ, მკითხველი. დიახ, ჩვენ ამ ფელეტონში ჯერჯერობით მხოლოდ ინიციალებს დავეჯერდით, — ინიციალების პატრონები ამითაც კარგად იცნობენ საკუთარ თავს.

დღესდღეობით კი თვითმუშა მათგანს თავისებურად უყვარს რუსთაველის პროსპექტი, ზოგს ძლიერად, ზოგს კი უფრო ძლიერად, მაგრამ არც ერთი მათგანი ამ სიყვარულში თავდაპირველი არ არის. პირიქით, ზედმეტად ეკვიანი და ფიცხელია, რის გამოც ისინი ხშირად თავს მილიციის მეჩვიდმეტე განყოფილებაში ამოყოფენ ხოლმე.

იქ ამ სიყვარულისაგან ხშირად გამოფხიზლებულან, პირობაც დაუდვიათ, მაგრამ ის პირობა კი მეორე დღემდეც არ გაჰყოლიათ.

ბელურა ჩიტები რუსთაველის პროსპექტს დასაძინებლად ეტანებიან, თბილისელები — გზად გასაველელად, ზოგჯერ სასეირნოდაც, მაგრამ დღე და ღამე პროსპექტზე უსაქმურად დგომა არც ვაეკაცობის დამამტკიცებელია და არც დიდი სიყვარულისა...

რუსთაველის პროსპექტის რაინდები თუ პროსპექტისადმი ასეთ სიყვარულს არ გადაეჩვენებიან, მაშინ, ნუ დაგვემდურებიან, თუ უახლოეს ნომერში მათ გვარებსაც არ დავეჯერდეთ და სურათებიც გამოვამზებუროთ.

გ. სიმონიძე



— ტყუილ-უბრალოდ მივიღეთ საყვედური მოსავლის ცუდად აღების გამო, ელიზბარ, დადგა გაზაფხული და თვითმუშა დაკარგული მარცვალი ხელახლა აღმოცენდა... სხვებს კი ჯერ თესვაც არა აქვთ დაწყებული.

### სასწრაფო დახმარება

ამას წინათ, თბილისში, ჯავის ქუჩაზე, უცნაური შემთხვევა მოხდა. მოქ. ბ. ნ. მეტად მძიმე და მოულოდნელმა ავადმყოფობამ დაიმორჩილა. საპროგნოზო გახდა სასწრაფო დახმარების გამოძახება. გამოიძახეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ჯავის ქუჩაზე სასწრაფო დახმარების მანქანა მოსრიდა, აყრილ-დაყრილ, მინგრეულ-მონგრეულ ქვაფენილს გადაუარა, ერთ ორმოში ფეხი ჩაქრა, დაიფრუტუნა და გაჩერდა. ხრიალებდა სასწრაფო დახმარების მანქანა IO 64-35 და ადგილიდან ვერ იძვროდა. საპროგნოზო იყო სასწრაფო დახმარება. „ძმა ძმისთვისაო“, ნათქვამია. სასწრაფო დახმარება რა სასწრაფო დახმარებაა, თუ თბილისში ჩავარდნილ თავის ძმას სასწრაფოდ არ დაეხმარება.

გამოიძახეს მეორე სასწრაფო დახმარების მანქანა IO 60-74. ეს მეორე კი იმდენად საცოდავი და უღონო გამოდგა, რომ პირველი მანქანა თბილისიდან ვერ ამოათრია. მართალია, ჯერ არავის უთქვამს „ძმა ძმებისთვისაო“, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც გამოიძახეს სასწრაფო დახმარების მესამე მანქანა IO 50-27, რომელმაც დიდი ფრუტუნისა და „ვან-ვანის“ ძახილის შემდეგ თავისი მოძმეები გაჭირვებისაგან იხსნა.

სასწრაფო დახმარებას კი აღმოუჩნდა სასწრაფო დახმარება, მაგრამ ახლა ერთი რამ არის სასწრაფოდ გასარკვევი: ჯავის ქუჩას ვინ აღმოუჩენს სასწრაფო დახმარებას — ლენინის რაისაბჭო, თუ ქალაქის საბჭო?

გ. გელაშვილი



ნახ. თ. ჯრ შკარფანასხა.



— რასა მგავს ეს! ხანამ ქვეყანა არ შევძარა, ხანამ ხაჩივრის წიგნი არ მოვთხოვე, არ იქნა, ბორჯომის წყალი არ მომიყიდე. სადღაც ბნელ ადგილას გქონდა გადანახული!..  
— ტყუილად ცხარობთ, მოქალაქეებ, ისე ვიქცევით, როგორც თვით ბორჯომს აწერია: „შეინახეთ ბნელ და ცივ ადგილას დაწოლილ მდგომარეობაში“.

ნახ. ღონისა



— რა შეხანიშნავად გავიწვრთნია შენი უურშა, ყველა შენი ნანადირევი დირექტორთან მიაქვს...

— მაშ ასე, მორდებ ხუბაშვილო, თქვენ აღიარებთ, რომ შემოგვეფლანგათ სოფლის კოოპერატივის თანხები?

— დიახ, პატივცემულო მოსამართლე, სოფლის კოოპერატივის და კიდეც... აი, ყრუ-მუნჯების თანხებზედაც მოგახსენოთ?

— ყრუ-მუნჯებზე არავინ გეკითხებათ, ყრუ-მუნჯებმა თავისი საქმე თვითონ იციან!

— მეც ასე ვამბობდი, პატივცემულო, მაგრამ აი, ჩემი თანამგზამელი უფრო მეჩხუბებოდა, ყრუ-მუნჯების თანხებსაც მოგვეთხოვენო.

— ვინა? მე გეჩხუბებოდი? კი არ გეჩხუბებოდი, შე წელ-კავიანო, გაფრთხილებდი, არ თქვა, ყრუ-მუნჯების განყოფილებაში ოთხმოცი ათასი რომ გაფლანგეთ-მეთქი!

— რატომ, ბრალდებულ ვფრო ხუბაშვილო?

— იმიტომ, რომ ვარდოსანიძეს და ახობაძეს ეწყინებამეთქი! თქვენ თვითონა ბრძანეთ, პატივცემულო მოსამართლე, ამდენი პატივისცემა აქვთ იმ პატიოსნებს და შეიძლება ვაწყინოთ?

ჩვენ გვინდა დაახლოებით ასე წარმოვიდგინოთ ის ლაპარაკი, რომელიც სტალინის საოლქო სასამართლოში წარმოებდა 1951 წლის 22 მაისს, როცა ეფრო და მორდებ ხუბაშვილებს ასამართლებდნენ.

როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, დასახელებულ ხუბაშვილებს პასუხს სთხოვდნენ სოფლის კოოპერატივის თანხების განიავების გამო. უცნაურია, მაგრამ ამ პროცესზე არავინ დაინტერესებულა ყრუ-მუნჯთა ორგანიზაციაში იმავე ხუბაშვილების მიერ 80 ათასი მანეთის გაფლანგვის საკითხით. ეს რა არის, ცოტა ხნის შემდეგ ჯავის სასამართლოს სხვა შემადგენლობამ ვინმე კოჩიევი გაასამართლა სხვა გაფლანგვის გამო. ამავე კოჩიევის იმავე ყრუ-მუნჯთა განყოფილების 45 ათასი მანეთი ჰქონდა გაფლანგული. მაგრამ არც ეს ფაქტი გახსენებით პროცესზე. როგორც ჩანს, იმავე ვარდოსანიძე-ახობაძის ხათრით.

ცოტა ხნის შემდეგ...  
თქვენ უკვე მიხვდებით, რომ კიდეც ვილაც გაასამართლეს და კიდეც ვილაცას აღმოაჩნდა ყრუ მუნჯთა საზოგადოების სტალინის განყოფილების თანხების გაფლანგვა.

ამრიგად, ამ წაყრუების თუ ახობაძე-ვარდოსანიძის ხელის დაფარებით უკვე დაზუსტებულ-გამომჟღავნებული 125 ათასი მანეთის გაფლანგვის საქმე მიფუჩიჩდა. ეს ის ლ. ი. ვარდოსანიძეა, რომელიც მაშინ ყრუ-მუნჯთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გახლდათ.

— ხელის დაფარება რა შუაშია, ერთი ხელი ან ოცდახუთი ათას მანეთს როგორ დაეფარებოდაო? — შეიძლება გვისაყვედურონ ვარდოსანიძემ და ახობაძემ.

აი როგორ:  
საზოგადოების იურისკონსულტმა ცქიტიშვილმა ამ თანხის გაფლანგვის შესახებ თავის დროზე გამოკვლევულ-დასაბუთებული დასკვნა მიართვა პატივცემულ ვარდოსანიძეს. დასკვნაში დასახელებული იყო მიმტაცებელთა ვინაობა, მითითებული იყო ღონისძიებაც მათი პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ. მაგრამ პრეზიდიუმში რაღაცნაირი ყრუ-მუნჯური მანიპულაციებით შეუთანხმეს ამ საკითხის მიფუჩიჩების საქმე საფინანსო განყოფილების გამგეს ნ. დ. ახობაძეს, ხოლო ვარდოსანიძემ კი დასკვნას წითელი ფანქრით წააწერა: „წავიკითხე. 24 აგვისტო, 1951 წელი“.

ამას შედეგად აღნიშნული საზოგადოების სამხრეთ-ოსეთის განყოფილების ლიკვიდაცია მოყვა. მას ზედ მიაყოლეს აბეზარი იურისკონსულტიც, ხოლო თვითონ განაგრძეს „მუნჯური“ წესით მუშაობა.

მაგრამ უცვლელი ხომ არაფერია ქვეყნად. წლები გავიდა, ვარდოსანიძე-ახობაძეც თან წაიყვანა, ხოლო გაფლანგული თანხა ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ბალანსში დარჩა, სადაც ქვეთინებს, არა მუნჯად, არამედ ხმამაღლა ყვირის: „მოსთხოვეთ პასუხი ვარდოსანიძე-ახობაძეს, გაანადგებინეთ ჩემი თავიო!“

ლიახაც! უჩინგაინი

# ქაჩხაჩა მუერნობა

ამჯერად, უმთავრესად, ლორებზე გვექნება ლაპარაკი. ლორის ხასიათი მოგეხსენებათ: ბევრი ჭაჭა უყვარს, გაუმადლარია და, რაც მთავარია, არ უყურებს რას ჭამს და ვის ქონებას ჭამს. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა დატოვოს, თითქოს ლორი რაღაცა უჯიშო ცხოველი იყოს და პატრონის ყურადღებას არ იმსახურებდეს პირიქით: ლორის მრავალი, საყურადღებო ჯიში არსებობს და მათ შორის ყველაზე მეტად გამოირჩევა ეგრეთ წოდებული „სოღანლულა“, რომლის ფასი, პროპორციის ყოველგვარი დარღვევის შემდეგ, ათასჯერ მაინც სჭარბობს სპილოს ფასს. სწორედ ამ „სოღანლულას“ შესახებ მინდა ცოტა დაწვრილებით მოგახსენოთ.

თბილისის მარჯვენა ნაპირის სასაიდლოთა ტრესტს სოღანლულაში აქვს დამხმარე მუერნობა, რომლის მიზანია საკუთარ სასაიდლოებს იაფი პროდუქტი მიაწოდოს და მომხმარებელს თითები ჩააკენეტინოს. ამ პროდუქტთა შორის ყველაზე მეტად აღსანიშნავია ძროხა, ქათამი და ლორი. აქ წლების განმავლობაში წარმოებს ხსენებულ ცხოველ-ფრინველთა მოშენება და მუერნობის მუშაკები გამოცდილებამ იქამდე მიიყვანა, რომ საუკეთესო ჯიშები გამოიმუშავეს.

ერთ-ერთ ასეთ ჯიშს ეკუთვნის ლორი „სოღანლულა“. ხსენებული ჯიშის ცხოველი, მაგალითად, იმდენად ძვირფასია, რომ მისი გოჭის ფასი, იმ პერიოდში, როცა იგი ჯერ ისევ ძუძუს შეექცევა, აღწევს 1500 მანეთს.

განა რა ჯიშის გოჭია ასეთი, ოქროს ჯაგარი ხომ არა აქვსო, იკითხავს მკითხველი, შოკოლადით ხომ არა ჰკვებავენო. არა, გოჭის ჯაგარი და მისი შოკოლადით კვება არაფერ შუაშია. აქ მთავარ როლს თამაშობს გოჭთა პატრონების კვება.


დაკვირდება ივანეს გოჭის ხორცი და მისწერს პეტრეს: „არიქა, ერთი-ორი გოჭი მომაშველეო“. მოესურვება პეტრეს ლორის კუპატი და მისწერს ივანეს: „რას შვრები, ბჭო, პურმარილი დაგვიძველდაო“. წლების განმავლობაში ტრიალებს შამფური, ცვდება ტაფა, იხეხება ქვაბი და მატულობს და მატულობს „სოღანლულას“ ფასი.

ამ უცნაურ ბუხპალტერიაში რომ მკითხველი უკეთესად გაერკვეს, უნდა აფუხსნათ, რომ მდგომარეობა შემდეგშია: ვთქვათ კვებტრესტლებს მუერნობაში ჰყავთ 100 გოჭი, ღირებული 10,000 მანეთად. ღირებულება ღირებულებაა—თითო გოჭი ზის 100 მანეთი. პეტრე ივანეს მისწერს, ივანე—პეტრეს და წლის ბოლოს მუერნობაში დარჩება 7 გოჭი. წლის ბოლოს, მაშასადამე, 10,000 მანეთად ფასობს არა 100, არამედ 7 გოჭი. ასე უმჯობესდება და ძვირფასდება „სოღანლულას“ ჯიში და სარეკორდო ფასს აღწევს, აგრეთვე, ძროხისა და წიწილისადმი პატივისცემა.

რაც შეეხება პეტრესა და ივანეს, უნდა აღინიშნოს, რომ სოღანლულის მუერნობაში 1951 წლიდან 1953 წლამდე პირუტყვთა ჯიშებს „აუმჯობესებდა“ ანგარებითი დანაშაულისათვის პასუხისგებაში ნამყოფი და ნასამართლები 42 კაცი და ხელმძღვანელ მუშაკთა გარდამავალი ცვალებადობა.


ამ ჭამა-ცვალებადობამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ წიწილისადმი პატივისცემამაც კი უმძლავრეს წერტილს მიაღწია და ახლა სოღანლულის მუერნობაში გაუბედურებულ ყოველ „ქროლასა“ თუ „წივ-წივას“ შეუძლია დაიტრაბახოს, რომ იგი 160 მანეთად ფასობს.

რაც შეეხება მათი შეჭმა-დაფასების ზედამხედველობას, უნდა აღინიშნოს, რომ „სოღანლულას“ ჯიშის ლორი დიდხანს ხმას ვერ იღებდა, რადგან ვაჭრობის სამინისტროს ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკიც ძუძუს გოჭივით იყო გატვრენილი.



— რა მენადვლება, აივანზე ხომ წარწერა არაა ჩამოკიდებული სისუფთავე რომ დავიცვათ?!

## სასაუბროში



— იხეთ სტუმრებს, როგორნიც წუხელ აქ ყოფილან ისევ ახეთი ოთახი ეკადრებათ! რა საჭიროა დავახუფთათ?!

# ამოცანის კალენდარი

„ერთი კილო ძეხვი ღირს 16 მანეთი და 70 კაპიკი, შაკარონი—6 მანეთი და 10 კაპიკი, შაქარი—9 მანეთი და 40 კაპიკი“. მოდი ახლა და გაიგე დედამაც უარი მითხრა, აწი თვითონ იფიქრე ამოცანების ამოხსნაზე, დღეიდან მე აღარ დაგეხმარებიო, რა ვქნა?—საგონებელში იყო ჩავარდნილი ვიკლა. რვეულები ჩანთაში ჩააწყობდა და ფანჯრისაკენ გაიხედა. პატარა კატა უკანა ფეხებზე შემდგარიყო და ფარდას ეთამაშებოდა.

— ნეტავი შენ, ფისო, არც ამოცანა გაქვს გამოსაყვანი, დილით აღრე ადგომასაც არავინა გთხოვს. ხარ შენთვის, როგორც ვინდა, — თავისთვის ჩაილაპარაკა მან და დაამთქნარა. შემდეგ ადგა, ფანჯარასთან მივიდა, ქუჩაში გამვლელების თვალიერება დაიწყო და ესეც რომ მოწყინდა, კატას დაუწყა წვალება. ბოლოს იატაკზე დააგდო საცოდავი ფისუნია, ფეხი დააკვირა. კატის ტყავილზე ოთახში ბებია ელისაბედმა შემოიხედა.

— ეგ არის შენი მეცადინეობა? რას ერჩი მაგას! — გაბრაზებით ჰკითხა მან ვიკლას.

— ვმეცადინებდი, მომეპარა და გამეკაწრა. — იცრუა ბიჭმა.

— ვიცნობ რა ყმაწვილიც ბრძანდები. კეთილ ინებე და ჩემი თანდასწრებით იმეცადინე! — ისეთი ტონით წარმოთქვა ელისაბედმა, რომ ჩანდა იგი არავითარ დათმობაზე არ წავიდოდა. ვიკლამ კვლავ ამოაღა თავისი რვეულები, ბებია კი ცოტა მოშორებით სკამზე ჩამოჯდა და მისი გახეული ხალათის კერვა განაგრძო.

ისევე გადაათვალიერა თავისი სამოსწავლო ავლადიდებმა ვიკლამ, შემდეგ ალაღბედა „ნორჩი ლენინელი“ გაშალა და სურათებს დაუწყა დათვალიერება. ის-ის იყო გაზეთი უკვე წაკითხულად უნდოდა ჩაეთვალო, რომ მისი ყურადღება ერთმა წერილმა მიიპყრო. თვალები გაუფართოვდა, ინტერესით გადაეჩინა რამდენჯერმე ერთი და იგივე სტრიქონები და აღტაცებით წამოიძახა:

- ყოჩაღ, იანეკ!
  - რაო, რა თქვი, ბიჭო?
- ვიკლა შეცბუნდა.

— არაფერი, ბებო, ამ გაზეთში წერია, რომ ვილაც იანეკი კარგი მოწაფე ყოფილა. ფრიადზე სწავლასთან ერთად, თურმე, მშობლებსაც ეხმარება სახლში.

— შენა გგვანებია სწორედ. — ირონიულად ჩაილაპარაკა ელისაბედმა.

— რათა, ბებო, — გამოცოცხლდა ვიკლა და თვალები ემშაქურად აუციმციმდა. — მართალია, გუშინ არ გაგვგზავნე მალაზიაში, მაგრამ აწი უარს აღარ გეტყვი. აი, ახლა წავალ, გუშინდელ თხოვნას აგისრულებ.

მოხუცის სახეზე გაკვირვება გამოიხატა.

— ახლა უნდა იმეცადინო, სხვა დროს იყოს. — უთხრა მან შვილიშვილს.

— გეფიცები, ბებო, მერე უფრო კარგად ვიმეცადინებ, ახლა კი წავალ მალაზიაში, ვიყიდი შაქარს, მაკარონს და ძეხვს. — სხაპა-სხუპით დააყარა ვიკლამ.

— ძეხვი გვაქვს, არ გვჭირდება... მაკარონი კი, მაკარონი რამ მოგაგონა? მე შენ შაქარზე მინდოდი გამეგზავნე...

— ჰოდა, მოდის ორი კილო შაქარი!.. — შესძახა ვიკლამ, იქვე პატარა მაგიდაზე დაწყობილ ფულს დასტაცა ხელი და სანამ ბებია რამეს მოიფიქრებდა, ვიკლა უკვე კარების იქით იყო.

რა მოეჩვენა, რომ გამოცვალა ასე უცბად? — გაოფიქრა ელისაბედმა, ჯერ ოთახში მიმოიხედა, მერე სათვალეები მოირგო და ვადაშლილ გაზეთს დაუწყა თვალიერება.

— იანეკი, იანეკი... სად წაიკითხა იმ ბიჭმა ეს? ჰო, აი აგერ, „მოხერხებული იანეკი“, — ჩაილაპარაკა ელისაბედმა და გულდასმით შეუდგა კითხვას. — კი მაგრამ, აქ სულ სხვა სწერია. — ვერ გარკვეულიყო საიდუმლოებაში ბებია.

წერილის შინაარსი ასეთი იყო: პატარა იანეკი მალაზიაში შესულა და გამყიდველისათვის უკითხავს: „თუ შეიძლება მითხარით, რა ელირება ოთხი კილოგრამი შაქარი, 5 1/4 კილოგრამი მაკარონი და 10 კვერცხი?“ გამყიდველმა იანგარიშა და უპასუხა. მალაზიიდან წამოსვლისას გამყიდველის კითხვაზე: „არაფერს ყიდულობ?“ იანეკს უპასუხნია: არა, ვმადლობთ, არც ვაპირებდი რამე მიყიდა, მე მხოლოდ მინდოდა გამეგო რა ელირებოდა ყოველივე ეს ერთად, რომ შემემოწმებინა სწორედ ამოგხსენი თუ არა არითმეტიკული ამოცანა, რომელიც დღეისათვის მქონდა მოცემულიო“.

ელისაბედი კვლავ ჩაფიქრდა.

გიკლა კი ამ დროს მალაზიაში იყო და გამყიდველს ევაკრებოდა.

— მაშ სულ 39 მანეთი და ათი შაური, არა? ვმადლობთ, ბიძია! — სიხარულით წამოიძახა, გამყიდველის მიერ ნათქვამი ციფრი ქალაქის ნახევრზე ჩაიწერა და შინისაკენ მოკურცხლა.

გამყიდველმა გაკვირვებული თვალებით გახედა პატარა მომხმარებელს. „რა ჩაიწერა იმ ქალაქზე?“ უსიამოვნო ეჭვმა გაუელვა მორგვევით გამსხვილებულ თავში. „რევიზიის ახალი ფორმა ხომ არაა?“ გაიფიქრა და ეშმაკურად ჩაილიმა ულვაშებში.

ვიკლა ჩქარა დაბრუნდა შინ. მალაზიაში შაქარი არააო, უთხრა ბებიას და ფული კალთაში ჩაუგდო, მერე მაგიდას მიუჯდა და გულმოდგინედ წერას შეუდგა. ტურებში კმაყოფილების ღიმი უკრთადა.

მეორე დღეს აღრიალებული მოვარდა ვიკლა სახლში.

— ყველაფერი სწორი იყო, მაგრამ მასწავლებელი მყავს გადაკიდებული, ორი დამიწერა. — ლულულუღბდა იგი. — ოჯახის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მაჩვენე, აბა, შენი ამოცანა. — უთხრა შვილს ვიორგიმ და პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა. ვიკლამ ისე ნელა ამოაძრო ჩანთიდან რვეული, გეგონებოდათ ხუთფუთიანი სიმძიმის ნივთი ამოჰქონდა.

ვიორგიმ კარგა ხანს უცქირა რვეულს და ღიმილით ჩაილაპარაკა:

— ასე რომ რომელიმე გამყიდველს ეანგარიშა, ალბათ დაიჭერდნენ.

ვიკლა გაფითრდა, თითქოს დანაშაულზე მიუსწრესო.

— ეს როგორ ვერ გამოიანგარიშე, ბიჭო! — მიუბრუნდა მას ვიორგი.

— მე კი არა, იმოდენა კაცმა ვერ გამოიანგარიშა, — წაიბურტყუნა ვიკლამ. ელისაბედმა ვიორგის თვალით ანიშნა, გვერდზე გაიხმო და დაწვრილებით მოუყვა ყოველივე. ვიორგი მიხვდა რაშიაც იყო საქმე. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ვიკლა მალაზიაში წაიყვანა.

— რატომ მომატყუე, ძია, შენი გულისთვის ორიანი მივიღე. — მისვლისთანავე შესჩივლა ვიკლამ გამყიდველს.

— ეგეც მიიღებს საკადრის ორიანს, — თქვა ვიორგიმ, საჩივრის წიგნი მოითხოვა და თავის გულისწყრომა იქ ჩასწერა. გრძელ ამბავს იგი ასე ამთავრებდა: „დროა ზოგიერთმა გამყიდველმა „მასწავლოს“ სწორი ანგარიში, შეცდომაში არ შეიყვანოს დიდი თუ პატარა მოქალაქე. საბჭოთა ვაჭრობის პატიოსან მუშაკთა შორის არ უნდა ვაგაქაქანოთ ასეთი უღირსი, მახინჯი ელემენტები“.



ოსინოვსკის კუჭი

ნახ. დ. დუნდუბა

დღესაც არ ახსოვთ არტელ „ქიმ-პლასტმასის“ ზეთისსანდელ საამქროში, თუ პირველად როდის გახდა ავად არტელის მუშა ფილარეტ პავლეს-ძე ოსინოვსკი. ჯერ არავის სჯეროდა მისი ავადმყოფობა: „ჯანსაღი კაცია, ორ ლიტრა ღვინოს ისე გადაკრავს, რომ სადღეგრძელოსათვისაც არ შეისვენებსო“. — ამბობდნენ მუშები, მაგრამ როდესაც ფილარეტ პავლოვიჩმა საამქროს კარები შემოაღო და ვიწრო კარებში ძლივს შემოიტანა გასიებული მუცელი, საამქროს მუშები გარს შემოეხვივნენ და კითხვები სეტყვასავით დააყარეს:

— რა მოგივიდა, ფილარეტ პავლოვიჩ, ასე უეცრად რამ დაგაძაბუნა?!

— ეჰ, ნულარ მეტყვიო, ძემბო, კუჭის ტკივილმა მომსპო, აღარა ვარ კაცი.

— გეტყობა, მუცელი ფეხშიძე ქალივით დაგსიებია.

— დასიებას ვინ უყურებს, მტკივა, კაცო, არ მაძინებს ღამე.

— მაინც როგორ გაწუხებს, რა ადვილზე გტკივა? — შეეკითხა ფარნაოზ გალუსტოვი.

— სუყველგან, მთელი მუცლის არეში, ჩემო ფარნაოზ, მუცელი კიდევ ისე მისივდება, რომ მგონია შიგ სამკილოგრამიანი გირი მაქვს-მეთქი.

— ჰამის მადა როგორი გაქვს, ფილარეტ?

— ჰამის მადა ძალიან გადიდებული მაქვს, სულ მინდა რომ ვკამდე და, ჰამას ვინ ჩივის, არყისა და ღვინის სმაც მინდება.

— ჰო... ეგ ძალიან ცუდი ავადმყოფობა შეგყრია, — მიუსამძიმრა ამალია მანუკიანმა.

— ნერწყვი თუ მოგდის?

— სახლში არა, მაგრამ საამქროში შემოვალ თუ არა და ამ ჩვენს ზეთს დავინახავ, ნერწყვის ისეთი მდინარობა ამიტყდება ხოლმე, რომ ლამის არის დავიხრჩო.

— ტკივილი უფრო დილით გაქვს, თუ საღამოთი? — არ ეშვებოდა ამალია.

— საღამოს, დაო... საღამოს ისე მომლუნავს ხოლმე, რომ სახლში ძლივს მივდივარ.

ყველა თანაუგრძნობდა ოსინოვსკის ავადმყოფობას: ზოგმა ივანოვსთან მიხვლა ურჩია, ზოგმა მრავალძარღვას ნახარშის დაღვევა, ზოგმა თაფლი, ზოგმა ირმის რქა, ტაბახმელიდან მოკეთებ, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, დავით ნიკოლაი-შვილმა შინაური წამალიც გამოუგზავნა, მაგრამ ფილარეტს გასიებული მუცელი მაინც არ უტყბებოდა და საამქროშიც ზოგჯერ ისეთი გამომბრუქული შემობარბაცდებოდა ხოლმე, რომ მისი ამხანაგები საყვედურებით იკლებდნენ.



— დღეს მესამე გაკვეთილი უთუოდ გავვიცდება, ზურაბ... ჩვენს მასწავლებელს მგზავრები ჰყავს რკინიგზის სადგურზე გადასაყვანი.

— ნუ სვამ, შე საწყალო, შენ კუჭს ეგ უნდა კიდევ!

— რას აკეთებ, აღარ გინდა სიცოცხლე?

— ჯავრით ვსვამ, ჯავრით, თორემ ჩემი ღვინის სმა ვის გაუგია! — იტყოდა ხოლმე ფილარეტი, გასიებულ მუცელზე ხელს მიიდებდა და გაუყვებოდა გზას.

წვალობდა და იტანჯებოდა კუჭის ტკივილით ფილარეტ პავლოვიჩი, ალბათ კიდევ დიდხანს მოუხდებოდა ამ საშინელი ავადმყოფობისადმი ქედის მოხრა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ, სრულიად შემთხვევით მილიციის მუშაკებს კარგად არ გაესინჯათ და ავადმყოფი კუჭის მაგივრად, ხალათის შიგნით 2 კგ ზეთით

საესე მუცელზე მორგებული ბიდონი არ ეპოვნათ. მილიციის მუშაკებმა ფილარეტს პირველი დახმარებისათვის საჭირო წამალი გამოუწერეს და საბოლოოდ გასასინჯად კიროვის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლოში გაგზავნეს. სასამართლომ კუჭის მოსარჩენად 5 წელიწადი უძრავ მდგომარეობაში გაჩერება და დიეტის დაცვა ურჩია, მაგრამ საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ გარეთ ისე გამოუშვა, რომ არც კი გახსენებია კუჭის სამკურნალოდ, სხვა, ყველასაგან ნაქები და უებარი წამლების არსებობა.

ეჰ, მართლაც ძნელი მოსავლელია ზოგიერთის კუჭი.

3. კახელიშვილი

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გ. აბაშიძე, ა. ბელიაშვილი, ო. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ხ. ფაშალიშვილი.

ვინ თქვა მთვარის სიყვარულით  
 ზის და ღამეს გვითევხასო?...  
 ამერიკელ ძიას უნდა **ეჩრქვნული**  
 აქ ანკესით ითევზაოს. **ნიკოლოზიძე**

